ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 61

ქ. თბილისი 24 მაისი 2016 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი (სკ 400098443) (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მალხაზ მესხის სახით და მეორეს მხრივ შპს „ორიენტ ლოჯიკი" (სკ 202052054 ,თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ., N91ა ) (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრისათვის 4.1. პუნქტში აღნიშნული საქონლის/მომსახურების მიხედვით, CPVკოდი **30237000** - კომპიუტერების ნაწილები, აქსესუარები და სათადარიგო ნაწილები მომსახურების/საქონლის შესყიდვაზე.

2.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურება/საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება (შემდგომში - ხელშეკრულების ფასი) შეადგენს:

65 (სამოცდახუთი) ლარს

3.2. ხელშეკრულების ფასი და ერთეულის ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სხდელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1.

| № | დასახელება | განზ. ერთ | რაოდენობა | ერთ. ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | HP 90W Smart AC Adapter | ც | 1 | 65,00 | 65,00 |
| | | | | | 65,00 |

5. მომსახურების შესაბამისობა

5.1. ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება/საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი მომსახურებისათვის/საქონლისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

5.2. 5.1. პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება/საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. მომსახურების მიწოდების პირობები

6.1. ვადები:

6.1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 30 მაისამდე.

6.2. ადგილი:

6.2.1. მომსახურება/საქონელის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებელის მისამართზე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების/საქონლის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების/საქონლის მიწოდების შემდეგ, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ორ ეგზემპლარად.

7.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ცენტრის დირექტორი მალხაზ მესხი.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

8.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღეში.

8.3. ანგარიშსწორების ადგილი: ქ. თბილისი.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

## 10. ინსპექტირების პირობები

10.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს მალხაზ მესხი.

10.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესყიდული მომსახურების ინსპექტირება.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

## 12. განსაკუთრებული პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (2 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

12.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ერთი – "შემსყიდველთან".

### მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| ააიპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის<br>მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის 5<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 400098443 | შპს „ორიენტ ლოჯიკი"<br>სკ 202052054<br>თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ., N91ა<br>ProCredit Bank<br>MIBGGE22<br>GE67PC0243600100009528 |
| დირექტორი<br>მალხაზ მესხი | დირექტორი<br>ვაჟა ნასყიდაშვილი |